ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის

წ ლ ი უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი

(2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2018 წლის 10 დეკემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 13 (ცამეტი) განცხადება. მათ შორის: 5 (ხუთი) განცხადება დაკმაყოფილდა სრულად; 7 (შვიდი) განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვინაიდან მოთხოვნილი იყო პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია და ისინი გაცემულ იქნა ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით; 1 (ერთი) განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია ადმინისტრაციაში არ იყო დაცული.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 13 (ცამეტი) განცხადებიდან 3 (სამი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია; 1 (ერთი) შემთხვევაში - მოქალაქე; 9 (ცხრა) შემთხვევაში - მედიის წარმომადგენელი.

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 13 (ცამეტი) განცხადებიდან 7 (შვიდი) შემთხვევაში ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო იყო ათდღიანი ვადა, რის თაობაზეც განმცხადებელს ეცნობა დაუყოვნელივ, წერილობით.

დ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

ე) სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კაკაჩია.

ვ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გადაწყვეტილების შემთხვევებში ადმინისტრაცია ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ზ) ადმინსიტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაში საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ხდება ავტომატურ რეჟიმში.

თ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევას და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადებას ადგილი არ ჰქონია.

ი) ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

კ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.